ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5872601

ნომერი: AR1887110

თარიღი : 16.03.2022

გაცემის თარიღი : 30.03.2022

გაცნობის თარიღი : 30.03.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროპორტი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ნიკოლავა პ/ნ 35001074619
- საქართველო, ქალაქი რუსთავი, მეგობრობის გამზირი, N 2, ბინა 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

№AR1887110 ელექტრონული განცხადებით დაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისშესახებ. ქალაქ თბილისის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 25/12/2019 წლის 201935911 წერილის საფუძველზე 20/08/2020 წლის № 5072374 ბრძანებით გაცემულია ერთი შენობა-ნაგებობის განთავსების თაობაზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

თქვენს მიერ მითითებულ მიწის ნაკვეთზე 20/08/2020 წლის № 5072374 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთს სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე 18/12/2020 წლის № 5227789 ბრძანებით შეთანხმდა საწყობის არქიტექტურული პროექტი და 24/06/2021 წლის № 5467378 ბრძანებით გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა. შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების (დაფიქსირდეს ორი შენობა-საწყობი) შეტანასთან დაკავშირებით.

დამატებით გაცნობებთ, იმისათვის რომ არ მოხდეს ტერიტორიის ქაოტური სამშენებლოდ განვითარება და ერთიანი სივრცითი გადაწყვეტის დარღვევა, სამშენებლო განვითარება შესაძლებელია მხოლოდ განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიისთვის არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს, კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.